**გაზეთი ღირს**

| თვეე | მან. | კ. | თვეე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

გაზეთი „**ივერია**“ მარტის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან. 75 კაპ.

---

ქართული თეატრი

კვირას, 22 მარტს,

ქართულ დრამატიულის დასის არტისტებისაგან

**მ. საფაროვის თაოსნობით წარმოდგენილი იქნება:**

## ორი ობოლი

დრამა 5 მოქ. და 6 სურათად, თარგ. ა. ვ. ცაგარლისა.

ამ წარმოდგენისათვის მოწვეულია არტისტი-ქალი

**ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა.**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვისა, ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა, დიდებულიძისა, მანდენოვისა; ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, სვიმონიძე, გედევანოვი, გამყრელიძე, შათიროვი, საფაროვი, და სხვ.

ამ პიესაში პირველად გამოვლენ სცენაზედ ახალგაზდა არტისტი-ქალნი, დიდებულიძისა და მანდენოვისა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

---

ტფილისი, 21 მარტი

შარშანდელმა ღვინის მოსავალმა საქართველოში ბევრი საგულისხმო და ყოვლად საყურადღებო გარემოებანი გამოგვირკვია ნათლადა და ცხადად ჩვენის მეურნეობისა და განსაკუთრებით ღვინის კეთების შესახები ვითარებანი.

თუმცა იმერეთისაკენ ვენახის მოსავალმა ძლიერ იკლო სხვა-და-სხვა გვარის სენის გავრცელების გამო, მაგრამ, სამაგიეროდ, ქართლ-კახეთის ვენახებმა დიდ-ძალი მოსავალი მოგვცა, ისე რომ ბევრმა ჭურჭელიც-კი ვერ იშოვა ღვინის დასაყენებლად.

საზოგადოდ შემჩნეულია, რომ როდესაც იმერეთში ნაკლები მოსავალი მოდის, ქართლ-კახეთის ღვინოს მეტი მუშტარი უჩნდება და ფასიც აიწევს ხოლმე ღვინისა. მაგრამ თუ იმერეთშიაც შუათანა მოსავალი მოვიდა და ქართლ-კახეთშიაც, მაშინ ღვინო კარგ ფასად ველარ იყიდება და ღვინის მუშტარიც ცოტაა. წელსკი სულ სხვასა ვხედავთ: თუმცა იმერეთში ნაკლები მოსავალი მოვიდა, მაინც დანარჩენ საქართველოს ღვინომ ფასი არ მოიმატა, უფრო იმის გამო, რომ მოსავალი მეტად უხვი იყო. ამ გვარს გარემოებას ე. ი. როდესაც გამყიდველი უფრო ბევრია, ვიდრე მყიდველი, კრიზისი ეწოდება. კრიზისს ფასების დაცემა მოსდევს და ფასების დაცემა კიდევ მწარმოებლისა, მემამულისა და მიწად-მომქმედის გაღარიბებას მოასწავებს. სწორედ ამ გვარი კრიზისია ჩამოვარდნილი დღეს ქართლ-კახეთის ღვინის ვაჭრობაში: ღვინო ბევრია, მყიდველი-კი ცოტა. ვენახის პატრონები და ღვინის მკეთებლები დიდის მოუთმენლობით ელოდებიან მყიდველთ— სირაჯებს და სხვა გვარ წვრილმან ჩარჩებს, რადგანაც ყველას ფული ძალიან უჭირს და ყოველი მემამულე ერთის მოსავლიდგან მეორე მოსავლამდის გამოდის იოლად. როდესაც ჩვენს მემამულეს გაუჭირდება, გლეხი იქნება თუ თავადი, ვალს იღებს და მოვალეს ჰპირდება, დამაცადე, მოსავალი მოვა, გავყიდი და გაგისტუმრებო. მაგრამ აი მოსავალიც მოვიდა, ღვინოს-კი მაინც მყიდველი არ უჩანს. სირაჯებმა მარტო თავი ღვინოები იყიდეს და დანარჩენს მერე, გაზაფხულზედ დაუპირეს ყიდვა. ღვინის მყიდველთ შეეშინდათ ბევრის ღვინის ყიდვისა ერთბაშად, წრევანდელი ღვინოები სიმაგრეს მოკლებულია, წყალ-წყალა დადგა და ვაი თუ თავი ვერ დაიჭიროს და გაგვიფუჭდესო. სირაჯები ზარალს შეუშინდნენ და უმრავლესობამ ღვინის ყიდვა გამოზაფხულებამდის გადასდო. ამასობაში ვენახებისა და ღვინის პატრონებს მოვალეებმა თავიანთი უწყალო მუხრუჭი მოუჭირეს და აი მათის გაჭირების გამო ღვინოების ფასები სულ მთლად დაეცა...

უმოსავლობა უბედურებააო, ამბობენ ჩვენი სახტად დარჩენილი მევენახეები, მაგრამ არც თუ მოსავლიანობა ყოფილა ბედნიერებაო. ვინც-კი აქნობამდე სცდილობდა, ახალი ვენახები გაეშენებინა და ძველი ვენახები გაევსო და გაემატებინა, ახლა გულ-გატეხილი ფიქრობს: ჯერ რაც დღეს მოსავალი მოგვდის, ისიც ვერ გაგვიყიდნია, და ამაზედ მეტი რომ მოგვივიდეს, მაშინ რაღა გვეშველებაო.

სწორედ რომ დიდად დასაფიქრებელი ამბავი და საგულისხმო გარემოებაა. ამ გვარს მდგომარეობაში ჩავარდება მწარმოებელი მუდამ, როცა იმის ნაწარმოებს პატარა ბაზარი აქვს და შორეულ ქვეყნებამდე-კი ხელი ვერ მიუწვდება.

თუმცა ამ ჟამად ჩვენის ქვეყნიდგან ღვინო მიაქვთ რუსეთის დიდს ქალაქებში, მაგრამ ამ ღვინოს ჯერ საკმაო მუშტარი ვერ მოუპოვებია. ვერ მოუპოვებია, ჯერ ერთი, იმიტომ რომ ჩვენი დიდი სირაჯები ყოველთვის ერთ გვარსა და ერთის გემოვნების ღვინოს ვერ აწვდიან მყიდველებს, რომ მით სამუდამოდ შეიჩვიონ მუშტარი; მეორედ კიდევ იმიტომ-რომ ძალიან ძვირადა ჰყიდიან და ამით ღვინის ხმარებას მარტო რიცხვით მცირე და უფრო შეძლებულთა შორის ავრცელებენ და ამ სახით ღვინის ბაზრის გაფართოვებას დიდად და დიდად აბრკოლებენ. ასეა თუ ისე, მაინც ჩვენი სირაჯები კარგის მოგებით ასაღებენ თავიანთს ღვინოებს რუსეთის დიდს ქალაქებში, იმიტომ რომ გზაც უსწავლიათ და ხერხიც იქამდე ღვინის მიტანისა. თუ ღვინო რიგიანად დაყენებული და მოვლილი არ არის, ყველამ იცის, მოკლე მანძილზედ გადატანასაც-კი ვერ აიტანს და, ვიდრე 1,000—2,000 ვერსის მანძილს გაივლის რომელსამე რუსეთის ქალაქამდე, ღვინოს თავისი გემოც ეკარგება და ფერიც. ზოგიერთმა ჩვენმა ღვინის ვაჭრებმა ჯერჯერობით მარტო ის ისწავლეს, რომ ღვინო ისე წაიღონ რუსეთში, არ გაუფუჭდეთ და მზად დაყენებულს ღვინოს დანიშნულ ადგილამდე მიჰყვეს თავისი გემო და ფერი.

ამ გვარის ხერხის ცოდნა იმათ დიდს მოგებას აძლევს. მაგრამ შორსაც რომ არ წავიდეთ და ცოტა მაინც ყურადღება ვათხოვოთ ტფილისის ღვინის ვაჭრობას, მაშინაც-კი არ შეიძლება არ დავრწმუნდეთ, თუ რა დიდ სარგებლობას აძლევს ღვინით ვაჭრობა სირაჯებს.

სიღნაღისა და თელავის მაზრაში უკანასკნელ მოსავლის ღვინოები ისყიდებოდა ოთხ თუმნიდგან ვიდრე ათ თუმნამდის საპალნე. საზოგადოდ-კი შუათანა ფასი ღვინისა ექვსის თუმნიდგან შვიდს თუმანზე მეტი არ უნდა ჩააგდოს კაცმა. ერთს საპალნეში 48 ვედრა ითვლება. ტფილისში ამ გვარი ღვინო ისყიდება ვედრო არა ნაკლებ სამისა და სამ მანეთ ნახევრისა, ესე იგი საპალნე 144 მან. 188 მანათამდე. რამდენიც უნდა ჩავაგდოთ ხარჯი ღვინის გადატან-გადმოტანისა, მოვლისა და შენახვისა, მაინც ეს ციფირები ცხადად ამტკიცებს, რა დიდს სარგებლობას ჰხედავენ ღვინის ვაჭარნი ტფილისში. ცხადია, რომ ეს გარემოება ვენახისა და ღვინის პატრონს მუდამ თვალს წინ უნდა ჰქონდეს და ყოველთვის იმას უნდა სცდილობდეს, რომ ეს მოგება, ან რამდენიმე მისი ნაწილი მაინც, თითონ დაინარჩუნოს. აი მაშ რაოდენს მოგებას იღებენ მწარმოებელთა და მომხმარებელთა შორის მდგომი ვაჭრები და სირაჯები. ამოდენა მოგება იმის შედეგი-კი არ არის, რომ ვითომ რიგიანად ღვინის შემუშავება იციან დღევანდელმა ვაჭრებმა, არამედ იმისი შედეგია, რომ ცოტად თუ ბევრად ღვინის შენახვა იციან და რუსეთის ბაზრებამდისაც ხელი მიუწვდებათ. ხეირიანად ღვინის შესამუშავებლად, რასაკვირველია, ცოდნა და გამოცდილებაა პირველად საჭირო. თუმცა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ უკვე ითხოვეს ათის სტიპენდიის დაარსება საიმპერატორო ნიკიტას საბაღოსნო და ღვინის კეთების სკოლაში, მაგრამ უფრო უკეთესი იქნებოდა, დაეჩქარებინათ დაარსება კისის-ხევის ღვინის კეთების სკოლისა, რომელსაც დიდი ხანია, რაც გვპირდებიან. გარდა ამისა, ჩვენის აზრით, ვიდრე ვენახის პატრონები ღვინის საქმეს თითონვე ხელს არ მოჰკიდებენ და ამხანაგობათა დაარსებით ღვინის ვაჭრობის საქმეს თავიანთ ხელში არ ჩაიგდებენ, მანამდე ჩვენი ღვინოს მომყვანნი მყიდველის ნატრულები იქნებიან და რიგიან ფასად ღვინის გასყიდვაც ვენახების პატრონთათვის მხოლოდ მოულოდნელი და იშვიათი ბედნიერება იქნება.

ნიკ. კავკასიძე

## ახალი ამბავი

*** ჩვენს გაზეთში რამდენჯერმე იყო მოხსენებული, რომ 1865 წელს ქართულად გადათარგმნილი სასოფლო დებულება აღარსად მოიპოვება და, თუ სადმე არის თითო-ოროლა წიგნი, ისიც თაგვებისაგანაა დახრულიო. ამის გამო სოფლის მოხელენი ბევრს უკანონობას სჩადიან, რადგან სრულიად არ ესმით თავიანთი მოვალეობა და არც მოხერხება აქვთ, გაიგონ და შეიტყონ თავიანთი მოვალეობანი რუსულის ენის უცოდინარობის გამო.

---

# ფელეტონი

### მგზავრის ფიქრი

ცას ბურუსი გადაჰკვრია და ბნელა,
ქარი ღმუის და ქვითინებს გრიალა;
გულსა სწამლავს, ვით შხამი და ნაღველა,
მრისხანე და მძაფრის ბუნების ძალა.

ზედ გაჰკვრია ყინული დიდს მდინარეს,
შორეს, სადღაც ჰქოთავს ტალღა უძლებად;
არყის ხენი ამ მკვდარ-ცოცხლად მძინარეს
თავს დასცქერენ მწარე პირისუფლებად.

ღრუბლის გუნდი, ვით სევდა გულსაკლავი,
ირხევა და მიდი-მოდის ზეცაზედ,
მაშიდ მოსჩანს ერთი მკრთალი ვარსკვლავი
და მჭმუნვარედ გადმომცქერის მე თავზედ.

გზას ვადგივარ, შორისაკენ მიმავალს,
ამ გზას ეძებს, ვინც ვერა სძლებს აქ ბნელში,
მაგრამ მაზედ უჭირდება სვლა მრავალს,
ეცემა და ირჩობა შავს ნაღველში...

შენ რას მეტყვი, მოწამევ და მნახველო
ჩემის ნაღვლის და უსაზღვრო სევდისა,
შენ, ვარსკვლავო, მუნჯო პირისუფალო
ჩემის მწარის და უწყალო ბედისა?!

რა მომელის მწარე ცხოვრების გზაზედ:
ნათელს გასვლა, თუ ყოფნა მუდამ ბნელში?
უნაყოფოდ ვივლი დედამიწაზედ,
თუ დავტოვებ ცხოვრების კვალს სოფელში?..

მაგრამ მიჰქრა ვარსკვლავი შავს ღრუბელში,
მიიმალა და პასუხი არ მომცა;
მის მაგივრად ასტყდა გრიალი ველში
და მის კვნესას ველ-მინდორმა ხმა მოსცა.

ისევ ჰშფოთავს ქარი, ისევ ზუზუნებს;
ბედი მიმღერს: „თავი მოიძულეო!“
და ყინულ ქვეშ ტალღა ჩუმად დუდუნებს:
„ჩემთან მოდი, მკურნალად მიგულეო„!

შავის ეჭვით ვფიქრობ მე ნაღვლიანი:
მოვესწრები ცხოვრების განთიადსა,
თუ მიმსხვერპლებს მე ეს გზა ეკლიანი
და დავრჩები სამუდამოდ წყვდიადსა?!

ცახელი

### წკიპურტი 7.

პერტურბაცია.—ვინ როგორ მიეგება?—მოხუცებული თავადიშვილი.—ამირჯანა და სირანუშა.—კოლეჟსკი რეგისტრატორი.—მზარეული.—დედაკაცი.—რის ფლავი, რის სისირი?—საწყალი ხალხი.—უცნაური წერილი.—წინასწარმეტყველს გაზეთს მიჰმართეთ.

ერთს მეტად მახინჯს და შუბლშეკრულს დილას ტფილელებმა გამოიღვიძეს და ხუთ-გროშიანს გაზეთში ამოიკითხეს:

„პულკოვის სამეტეოროლოგიო ობსერვატორიის ცნობით, ხვალ, 16 მარტს, კავკასიაში ძ ლ ი ე რ ი ქ ა რ ი ს პ ე რ ტ უ რ ბ ა ც ი ა იქნება, რის გამოც კავკასიის ოლქის გზათა უწყების გამგეობამ ამიერ-კავკასიის რკინის გზას შეუთვალა, ღონისძიება რამ იხმარე, რომ უბედურება არა მოხდეს-რა ხალხისაო“.

ამისი წაკითხვა და გულის შემოყრა ერთი იყო. ვაძა მაინც მოეცათ, დალოცვილებს, რომ ან ზიარებული იყო ადამიანი, ან განდობიყო მღვდელს, ხვალ მოხდებაო, ძველის ვექსილსავით წამოადგა თავს ეს რაღაც პერტურბაციაა!.. რაღაცა უნდა მოხდესო, ელვასავით მოედო მთელს ქალაქს და შუშხუნასავით თვალის ერთს დახამხამებაზედ შვლეჭა ავლაბარ-ხარპუხშიაც-კი მოადინა. ასე ფეხ-მაღლად და ფეხ-ჩქარად პირ-ახეული ჭორიც ვერ გასრიალდებოდა და დეპეშა ხომ სამს ვერსზედ უკან ჩამორჩა პერტურბაციის ამბავს.

მერე ვინ როგორ მიეგება?

აგერ მოხუცებული თავადიშვილი, მამულის დასაგირავებლად ჩამოსული ქალაქში და სასტუმროს გაფითრებულს მოსამსახურეს ელაპარაკება:

— ვეჲო-და, ეგ რაღა ჩემი ცოდ-

ამ ნაკლულევანების ასაცილებლად საგუბერნიო სამმართველომ განიზრახა ხელმეორედ დაჰბეჭდოს სასოფლო დებულება. ეხლა, როგორც შევიტყეთ, გადათარგმნილი დებულება უკვე გადაუციათ სტამბაში დასაბეჭდად და, იმედია, რომ ამ ცოტა ხანში დაბეჭდილი სასოფლო დებულება დაურიგდებათ სოფლის საზოგადოებათ.

*** დღეს ქართულის თეატრის არტისტებმა უნდა წარმოადგინონ თარგმნილი პიესა: „ორი ობოლი“. სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებს ქ-ნი ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა. ამავე წარმოდგენაში პირველად გამოვლენ სცენაზედ ორი ახალგაზდა ქალი: ქ-ნნი მანდენოვისა და დიდებულიძისა.

*** სარწყავ წყალის დაწესებულებათა დებულება უკვე იბეჭდება რუსულად, ქართულად, სომხურად და თათრულად.

*** ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებელში სხვა-და-სხვა ავადმყოფობა გავრცელდა მოსწავლეთა შორის. სასწავლებლის მთავრობამ ოთხი მოსწავლე: ჩხატარაშვილი და გნედოვსკაია, ხუნაგით ავადმყოფები, ქარუმიძე, ყვავილით ავადმყოფი, და ახალშენიშვილი, ქუნთრუშით ავადმყოფი, ტფილისის მიხეილის საქალაქო ქსენონში გაგზავნა, რადგან ეშინოდათ სენი უარესად არ გამძვინვარდესო. მაგრამ, ამას გარდა, კიდევ ორი სხვა მოსწავლეც, წიკლაური და ბზიავა, გახდა ავად და ისინი-კი ჯერ-ჯერობით თვით სასწავლებლისავე საავადმყოფოში უწევთ. კარგი იქნება, ვისიც ჯერ არს, ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და სათანადო ღონისძიება იხმაროს, თორემ ქალაქშიაც ძლიერ გახშირებულია სხვა-და-სხვა გადამდები სენი და საშიშოა.

*** ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა წლიური კრება დანიშნულია 12 მაისს.

*** ამ დღეებში ტფილისის სამხედრო ბეგრის საკრებულომ გუბერნატორს წარუდგინა 1891 წელს ჯარში გაყვანილთა ანგარიში, რომლიდგანაც სჩანს, რომ 1891 წელს 581 კაცს უყარეს კენჭი; ამათში ჯარში იქმნა გაყვანილი 50 კაცი: 15 რუსი, 8 ქართველი და 27 სომეხი.

*** 19 მარტის მკურნალთა კრებაზედ ხუნაგის მოსასპობ ღონისძიებათა მისაღებად აღმოჩნდა, რომ ტფილისში ისეთი მაგალითები ყოფილა ხუნაგის გადადებისა, რომელიც ამტკიცებს, რომ ტფილისში არავის არ უდევნებია თვალ-ყური ამ საშიშარ ავადმყოფობისთვის. მაგალითად, სოლოლაკში ამ ორის წლის წინად ბ-ნ კ.—ს ყმაწვილი ხუნაგით გახდა ავად და გარდაიცვალა. ბ-ნი კ. სახლობით ამ სადგურიდგან გადავიდა. სახლი წამლებით აპკურეს და კედლებს ახალი შპალიერი გააკრეს. ორის თვის შემდეგ ბ-ნი კ. ისევ ამ სახლში გადმოვიდა. ეხლა მეორე ყმაწვილი გაუხდა ხუნაგით ავად და ისიც გარდაიცვალა. აღმოჩნდა, რომ სამზარეულო და მოსამსახურეთა ოთახში არ მოეხდინათ დეგინფექცია და კ.—ს მეორე ყმაწვილსაც იქიდგან შეხვედროდა ხუნაგი. აელაბარშიაც ერთს ოჯახში ყმაწვილი მოკვდა ხუნაგით. მშობლებმა ფერშალი დაარწმუნეს, რომ სხვა ავადმყოფობა ჰქონდა გარდაცვალებულსაო. ოჯახობა იმ სახლიდგან გადავიდა და სახლი რამდენსამე თვეს ცალიერი იდგა. ერთხელ ამ სახლში ყმაწვილები შევიდნენ სათამაშოდ და მეორე დღეს რამდენიმე მათგანი ხუნაგით გახდა ავად და გარდაიცვალა. ამ ნაირი მაგალითები სხვაც ბევრი მომხდარა თურმე ტფილისში.

*** კვირას, 22 მარტს, დილის 11 საათზედ, „ტფილისის სობრანიაში“ დანიშნულია სომეხთა დრამატიულ საზოგადოების კრება. კრება განიხილავს 1891—92 წლის სათეატრო სეზონის ანგარიშს და 1892—93 წლის ხარჯთ აღრიცხვას. 1891—92 წლის ანგარიშიდგან სჩანს, რომ სომეხთა თეატრს შემდეგი შემოსავალი ჰქონია: წარმოდგენის დაწყებამდე 2,843 მან. 27 კაპ. შეწირული ფული, 39 წარმოდგენის შემოსავალი—14,897 მან. 70 კაპ., აბონემენტებისა—605 მან., წვრილად შემოსავალი 168 მან. 65 კაპ., სულ—18,514 მან. 62 კ. ხარჯი-კი 18,754 მ. 94 კ. ყოფილა. ამ გვარად მთელის წლის განმავლობაში სომეხთა დრამატიულს საზოგადოებას 270 მან. 32 კაპ. დეფიციტი დასდებია, რომელიც უკვე გადახდილია კერძო კაცთა ფულით. საცეკვაო სალამოს შემოსავალი სრულიად გადაიდო მომავალ წელს სომეხთა თეატრის მოსახმარებლად.

*** ტფილისის სასამართლოს თავმჯდომარეს გადაწყვეტილებით, ქალაქ ტფილისის უმცროსს ნოტარიუსად დაინიშნა ბ-ნი გრიგორიევი.

*** ტფილისის საბჭოს მომავალს კრებაზედ, სხვათა შორის, შემდეგი საქმე იქნება განხილული: 1) მოხსენება შაჰაზიზოვისა გამომცხვარ პურის ვაჭრობის დებულების დარღვევის შესახებ; 2) მოხსენება მისივე ვაჰანიანცის მამულის ექსპროპრიაციით შეძენის შესახებ, ე. ი. რომ საბჭომ იძულებულ ჰყოს ვაჰანიანცი, იმ ფასად გაყიდოს თავისი ადგილი, რა ფასსაც ქალაქის დამფასებლები დასდებენ; 3) კავკასიის სამეურნეო საზოგადოების თხოვნა იმის შესახებ, რომ ქალაქმა საბაღოსნო სკოლას წელიწადში 600 მანათის შემწეობა აღმოუჩინოს.

*** სოფ. ხუმელაგა (კავკავის მაზრა): ცამეტს ამ თთვეს, ღამე სოფ. ხუმელაგაში მცხოვრებს დრიშა ყუსაევს მოჰპარეს ქურდებმა ორი ცხენი, ღირებული თოთხმეტ თუმნად; ცხენების კვალი შენაევის სოფლისკენ მიიტანეს, მაგრამ იქ-კა აღარც ქურდებისა და აღარც ცხენების კვალი აღარსად აღმოჩნდა.

*** ახალ-სენაკი: სიმინდის ფასის მომატებამ ჩვენსკენ ძალიან გაამხნევა მკვიდრნი, რომელნიც აქამდე გულაცრუებულნი უყურებდნენ ყანებს. რაც სიმინდის მაზანდამ აიწია, მას აქეთ უფრო გულიანად მიჰყვეს ყანებს ხელი, ასე რომ დღეს მდიდარი თუ ღარიბი იმასა სცდილობს, რომ წარსულს წლებზედ მომეტებული შეიმუშაოს მიწა...

ჩვენს დაბაში სიმინდის ვაჭარი თხუთმეტზედ მეტია, მაგრამ საკვირველია ამათი მოქმედება. ეს ვაჟბატონები ისე ატყუებენ საწყალსა და გამოუცდელს სოფლის ხალხს სიმინდის წონაში, რომ მეტი არ შეიძლება... ამიტომ ვგონებთ, რომ კარგი იქნებოდა, ცოტაოდენს ყურადღებას მიაქცევდეს ამ გარემოებას, ვისიც ჯერ არს.

*** იქიდამკე: 15 ამ თთვეს აქ ერთს გლეხს, გვარად კ—იას, ურმით სიმინდი მოეტანა გასასყიდად, ასე ხუთის თუმნისა (50 მ.). გაყიდვის შემდეგ საბრალოს ფული ჯიბეში ჩაედო და ცოტა ხნის შემდეგ, ხელი რომ ჩაიყო, ფული ჯიბეში აღარ დახვდომოდა. მოერთო უბედურს ყვირილი, ფული მომპარესო, მაგრამ აბა ვინ უპოვნიდა.

*** დ. მკვლი-სენაკი: ჩვენი მიძინებული დაბა ამ ჟამად დიდს ფაცაფუცშია. ახალ-სენაკელების მიბაძვით აქაურს ინტელიგენციასაც მოსწყინდა ძილი და უსაქმურობა. აქაც შესდგომიან მზადებას, რომ ქართული წარმოდგენა გამართონ. წარმოდგენა დანიშნულია ამ თთვის ოცდა-ხუთისათვის. შემოსავალი ხარჯს გარდა, დანიშნულია აქაურ სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ. წარმოდგენა სწორედ კარგს დროსათვის არის დანიშნული, რადგანაც ამ დღეს იარმუკობა იციან და შემოსავალი კარგი იქნება...

*** სოფ. თეკლათი (სამეგრელო): აგერ ორს თთვეზედ მეტია, რაც ჩვენს საზოგადოებაში ავ-კაცობისა აღარა ისმოდა-რა და გვარიანად მოსვენებულნი ვიყავით. ხოლო შემდეგი ამბები-კი მოხდა: წარსულ თთვის უკანასკნელს რიცხვებში ერთს აქაურს მცხოვრებს გაბრიო სიჭინავას დაკეტილის სადგურიდგან მოჰპარეს ერთი ცხენი. თუმცა-ღა დაკარგულის აღმოჩენას შეუდგა, მაგრამ ველარსად აღმოაჩინა. ამ თთვის პირველს რიცხვებში სოფ. შხეფში ორი ცხენი მოუპარავთ, მაგრამ ვერც ისინი უპოვნიათ პატრონებს.

ჩვენსკენ მშვენიერი დარები დგას. ბუნებამ გამოიღვიძა. ჰაერიც თანდათან თბება. აგვიყვავდა ხეხილი. ერთის სიტყვით, წელს მარტს ვერავინ დაემდურება. მარტმა გვარიანად დასიცხა ზოგიერთი ავადმყოფობა და თან და თან გვაშორებს...

*** კოპიტნარი: კოპიტნარიდგან სწერენ გაზეთს „Нов. Обоз“-ეს: „12 მარტს, დილის 9 საათზედ, სადგურის შენობაში ს. გომელაურმა ხანჯლით დასჭრა თავისი და ელისაბედი, კოპიტნარის რკინის გზის სადგურის უფროსის მეუღლე. გომელაურმა ბაქოში წერილი მიიღო თავის დისაგან, რომლითაც ის აუწყებდა, ჩვენს ოჯახში უსიამოვნება ჩამოვარდაო. ამ უსიამოვრობის მიზეზად გომელაურმა თავის დის დედამთილი და მული დასახა, წავიდა კოპიტნარში, რომ როგორმე თავის დის სახლიდგან დაეთხოვნა ორივე. სიძესთან მოლაპარაკების შემდეგ, გომელაური დარწმუნდა, რომ ის დედასა და დას სახლიდგან არ დაითხოვდა. მაშინ გომელაურმა კედლიდგან ხანჯალი ჩამოიღო და მივარდა სადგურის უფროსის დედასა და დას. გომელაურის და მიეშველა და მარჯვენა ხელი დაიჭრა ხანჯლით. გომელაური იქვე შეიპყრეს და პოლიციას გადასცეს.

*** ტფილისის ობსერვატორიის ერთ-ერთს უფროსს არ. ვოზნესენსკის გაზეთ „Кавказъ“-ში წერილი დაუბეჭდია, რომლითაც ამტკიცებს, რომ პულკოვის ობსერვატორიას ფიქრადაც არ მოსვლია იმ ამბის გამოცხადება, რომელიც გაზეთმა „Тиф. Лист.“-მა დაჰბეჭდა შესახებ იმისა, რომ 16 მარტს კავკასიაში „პერტურბაცია“ მოხდებაო. ჯერ ერთი ისა, რომ პულკოვში ნიკოლაევის საასტრონომიო ობსერვატორიაა და არა სამეტეოროლოგიო, მაშასადამე პულკოვის ობსერვატორიას არ შეეძლო ასეთის ამბის გამოგზავნა კავკასიაში. ამ ნაირ ამბის გამოცხადება მხოლოდ პეტერბურგის ობსერვატორიას შეეძლო. მე თითონ დეპეშით დავეკითხეო, ამბობს ბ-ნი ვოზნესენსკი: ამ ობსერვატორიის უფროსს მოხელეს ბ-ნს სრეზნევსკის და იმანაც დეპეშით შემატყობინა, რომ არაფერს ცვლილებას არ მოველით და არაფერი ამბავი არ გამოგვიგზავნია კავკასიაშიო. რომ ეს „პერტურბაცია“ გაზეთ „Тиф. Лист.“-ის მოგონილია, იმითიც მტკიცდება, რომ ამ გაზეთმა გამოაცხადა: „კავკასიის ოლქის გზათა გამგეობამ მისწერა ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობას, შესაფერი ღონის-ძიებანი მიიღეთ, რათა რკინის გზაზე უბედურება არა მოხდეს-რაო“. ეს ამბავი გზათა გამგეობამ მხოლოდ „Тиф. Лист.“-დგან შეიტყო და ტფილისის ობსერვატორიას დაეკითხა, მართლა ხომ არაფერი ამბავი არ მოგსვლიათ პეტერბურგის ობსერვატორიიდგანაო.

## მთავრობის განკარგულებანი

ახალ-ქალაქში სურსათის მაღაზიის ზედამხედველს ბალუევს კოლეჟსკი რეგისტრატორობა ებოძა.

კავკასიის სამხედრო ოლქის საინტენდანტოს სტოლის უფროსის თანაშემწეს, კოლეჟსკი რეგისტრატორს ლომიძეს გუბერნსკი სეკრეტობა ებოძა.

---

ვის კითხვა იყო... ე მამული მაინც დამეგირავებინა როგორმე... განა არა, ე ქვეყანა რო ასე აჭრელდა, სასიკეთოდ არ აჭრელდა... მოთმინება ღმერთსაც გამოელია და ამდენს უკუღმართობას რომ ჰხედავს, ან ცეცხლის წვიმას მოიყვანს, ან წარღვნას... დიდი ხანია გასანადგურებელია ეს ქვეყანა და კიდევ ბარაქალა, დაილოცა ღვთის მოთმინება და გაძლება!.. მაინც წავხდით და ე ტიტლიკანა სულები თუნდა გვქონია, თუნდა აღარა, აჰა!.. ან, რასა ვგავდით, შენს ლხენას: ან ღვთისა გვეტყობოდა რამე, ან ადამიანისა?.. სახითაც შევიშალენით, ჰკუითაც, ენითაც, გარეგნობითაც გამოვიცვალენით! განათლებამ ისე გაგვანადირა, რომ სულ ღორ-ხბოსავითა ვართ არეულნი: აღარც დიდია, აღარც პატარა, აღარც მორიდება და სირცხვილი, ქალი ქალს აღარა ჰგავს, ვაჟკაცი — ვაჟკაცს... ღმერთი სამართლიაა, დაილოცა იმის მარჯვენა!.. ნათქვამია, დედის წინ მხტომს კვიცს ან მგელი შესჭამს და ან მგლის ფერიო... ე ამოდენა ხალხი რომ დაგიქებულა და ღვთის წინაამდეგს ცხოვრობს, განა კარგი დაეყრება ქვეყანას!.. ვაი, ამ მოსწრებას!..

**

ამირჯანა უფრო გაჭირვებულს მდგომარეობაშია: კაბის სახელოები წყალში ამოწკუნპლულ ინდაურის ფრთებსავით ჩამოუყრია, ღოროტოტო და ბურნუთით გამოტენილი ცხვირი უფრო ჩამოსიებია, ცალს ხელში წითელი ხელსახოცი და მეორეში ბურნუთის კოლოფი გაჰქავებია და ასკილივით თავს აკანტურებს:

— მოდი ეხლა და ვირიდგან ტალახი ამოიღე... თფუ, ტალახიდგან ვირი-მეთქი. სირანუშ, შენ შეყრას ვფიცავ, დილას აქეთია ფიქრისაგან ჰპი ჩამივარდა... ეს წელიწადი სწორედ ზახრუმალა დადგა რაღა. ვა, გზები იჩეხება, ასე გონია ორივ თეძოთი კოჭლი არუთინა იყოსო, რომ დაითვრება ხოლმე და „მათუშკასავით“ და „პოშოლა“ გოგოსავით ცოდვიანსავით დალახლახებს... ხიდები ტყდება, ეს რაღაც ჯაჰრუდოზანა პეტრებაციაა ხომ სულ ერთიანად ამოგვჟუჟავს და ამოგველეტავს. დღეს იოვანგულას შვილი ამბობდა, აი ჩვენს „უპრავაში“ რომ „პისრად“ იყო, ელამ მაშუაზედ თვალიც რომ ეჭირა: „ტელეგრამია“ მოსულა, რაღაც დიდი ემე რამ უნდა მოხდეს, ჰაერი ერთმანეთს ეჯახოს, ზორბა ქარი ამოვარდეს, ვინ იცის, იქნება მზე და მთვარეც დაბნელდეს და ორივე ზედ კოლოლთაღის თავზედ დაეცესო.

— მერე, კაცო, ჩვენც დავიხოცებით?

— ვა, მაშ არა-და, დაორსულდებით... დედაკაცო, გაიგე რაღა, ისეთი ქარი ამოვარდება, რომ მუხის ხეებს ძირიანად ამოჰგლეჯავს და სახლებს პადვლიან-მაღაზიებ-საქონელ-პრიკაშჩიკებიანად წაიღებსო. ერთიც ვნახოთ, ყარაბაღიდგან ქარმა ერთი დიდი ტივის ხე გამოაქანა და ზედ დამატაკა, ისე დამნაყავს, როგორც რწყილი! სირანუშ, რომ მოგიტაცოს და ყარაიაზში ჩაგიტანოს, საზამთროს ბოსტნებში, მერე წადი და ამირჯანა დამიძახე!...

— ქა, ინჩე ასუმ, პოლიციას დააყენებენ...

— ტუტუც, რომელი პოლიცია გაუმაგრდება ასეთს ზახრუმალას?! მოემზადე, ხორაგის სარისტა ქენი, ოჯახით სოლოლაკის არხის ქვეშ ჩავიდეთ, იმის მეტი შველა ჩვენ არა გვაქვს...

**

სამოცის წლის კაკარდოსანს, ნიკოლოზის დროიდგან მოკიდებული კოლეჟსკი რეგისტრატორად რომელღაც „კანცელარიაში“ ჩარჩენილს მოხელეს გარს შემოუხვევია ნორჩი გადამწერლები და ფილოსოფოსობს:

— ეგ სულ ფრანცუზების ბრალი უნდა იყოს... მე რუსებისა და ფრანციის მეგობრობისა მაინც სულ არა მწამდა-რა. ინფლუენციაც აკი იქიდგან წამოვიდა... ეგ პერტინაციაც იქაური სჩანს. ჩვენ რომ მაგისთანა სიტყვა არცა გვაქვს: ორმოც-და-ხუთი წელიწადია „ოტნოშენიებსა“ ვწერ და ჯერ აგეთი სიტყვა არ შემხვედრია. სწორედ იქიდგან წამოვა ეგეც: იმათა აქვთ რევოლიუციაც და ეგ პერტიბრუციაც იმათი იქნება!... ამბობენ, დიდი ქარი იქნებაო. ჩემის აზრით, ეგ ომის ქარი იქნება, უბედურებას მოგვიტანს რასმე. ამ თვრამეტის წლის წინადაც ხმა გავარდა, „ხვოსტიანი“ ვარსკვლავი გამოჩნდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბაკვრით

(გზა და გზა და სხვათა შორის)

შარშან, დიდ-მარხვაში, ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ა. ბრანდტი თავის შვილით ყოფილა წმ. ათონის მთაზედ სამეცნიერო განზრახვით და სხვათა შორის თვის მიერ ნახული და გაგონილიც განუზიარა საზოგადოებას. ჯერ სამი წერილია მისი დაბეჭდილი რუსულ ჟურნალ „Вѣст. Европы“-ში. პროფესორი ბრანდტი გაკვრით ჩვენს სახელოვანს ივერიის მონასტერსაც მოიხსენიებს, მაგრამ საყურადღებო იმის წერილში უფრო სხვა არის და ჩვენც ვერ მოგვითმენია, რომ „ივერიის“ მკითხველს არ ვაუწყოთ მსწავლულ მოგზაურისაგან მოთხრობილი ამბავი.

ბრანდტი ამბობს, რომ ათონზედ ითვლება სულ 10,000 ბერი. მომეტებული ნაწილი მათი დაბალის წოდებისა და გაუნათლებელია. იმათის გონების განსავითარებლად თითქმის არაფერი კეთდება. რიგიანი სკოლები არ არსებობს და, კიდეც რომ იყოს, დრო არა აქვთ ბერებს სწავლისაო. დღეში ბერს—ნუ გაგიკვირდებათ-კი - და — თხუთმეტ-ჩვიდმეტი საათი უნდება ლოცვისა და ეკლესიაში ყოფნისათვისაო. ერთად-ერთი სასწავლებელი ჰქონიათ ბერძნებს, ისიც უხეირო. მოწაფეთა რიცხვიც მცირეა, რადგან თითო მონასტრიდგან ორს ბერზედ მეტს არ იღებენ. ერთის სიტყვით, ამ სკოლაზე, როგორც რიგიანად მოწყობილს სასწავლებელზედ, ლაპარაკი არა ღირსო.

შემდეგ ასე განაგრძობს ბ-ნი ბრანდტი: „მეთერთმეტე საუკუნეში მცხოვრებმა წინამძღვარმა გიორგიმ დააარსა ივერიის მონასტრის მახლობლად სადვთისმეტყველო სასწავლებელი, „მაგრამ 1059 წელს გიორგი მთაწმინდელი დაიბარეს საქართველოში, რადგან სამშობლოში დაისაჭიროეს მისი აუარებელი სამეცნიერო ცოდნა და დიდი სწავლა-განათლებაო. ასე სწერია წმ. ათონის გზის მაჩვენებელში. რამდენი ხანი არსებობდა სადვთის-მეტყველო სასწავლებელი, ეს არ არის მოხსენებული, თუმცა-კი სჩანს, რომ მეთორმეტე საუკუნეში სასწავლებელი ისევ ყოფილა, რადგან ამ დროს საქართველოს მთავრობას გადაუსახლებია ორმოც-და-ორი ოჯახი სოფელს ერისოში (ათონს ახლოს), რომ სამსახური გაეწიათ ივერიის მონასტრისა და სასწავლებლისათვის“ *).

1753 წელს მდიდარ ბერძნებს გამოუღიათ ფული და დაუარსებიათ ათონის აკადემია. ამ სასწავლებლის სულის ჩამდგმელი ყოფილა მსწავლული ღვთის-მეტყველი ევგენი ბულგარისი. სხვა-და-სხვა მითქმა-მოთქმით და არა საკადრისის ჭორებით ისე გაუჭირვებიათ საქმე ათონის ბერებს ბულგარისისთვის—თურმე ცემასაც-კი უპირებდნენ,—რომ საცოდავს მსწავლულს, ხუთის წლის შემდეგ, მიუტოვებია აკადემია და გადასახლებულა რუსეთში, სადაც დიდად მოხუცებული აღსრულებულა.

ბულგარისის აკადემია ეხლა მინგრეულ-მონგრეულია. პროფესორი ბრანდტი მწუხარებით ამბობს, რომ ათონის ბერებს შეეძლოთ რიგიანად შეემუშავნათ ისტორია და არქეოლოგია, რადგან გარემოება ხელს უწყობთო, მაგრამ სამწუხაროდაო, ალარსად არიან გიორგი მთაწმინდელები და ბულგარისები. დიაღ, პროფესორს ბრანდტს სრული საფუძველი აქვს იწუხოს, რომ ათონის ბერები არას აკეთებენ, ჩვენ-კი სიამოვნებით უნდა მოვიგონოთ ის დრო ჩვენის დიდებულის წარსულისა, როდესაც, სხვა ტომთა შორის, მარტო ქართველს კაცს შესძლებია უცხოეთში უმაღლესი სადვთის-მეტყველო სასწავლებელი დაეარსებინა, რომლის შემწეობითაც იფინებოდა მეცნიერების სხივები როგორც მის თანამემამულეთა, აგრეთვე უცხოთა შორის. ეს სასიამოვნო ამბავი თან სამწუხარო და დამაღონებელიც არის, მეტადრე, როცა წარსულს მოიგონებ და დღევანდელს ჩვენს ყოფასაც თვალ-წინ დაიყენებ. წარსულში გვქონია დრო და მოცალეობა, სხვისთვისაც მოგვევლო და გვეზრუნა, და ეხლა-კი ჩვენის თავისთვისაც ველარ მოგვივლია!

ა. ფ—ლი

*) იხ. „Вѣстн. Европы“, მარტის წიგნი, გვ. 222.

# რუსეთი

ამ სამეურნეო წელიწადმა, რომლის განმავლობაშიაც რუსეთმა დიდი ვაი-ვაგლახი გამოიარა და ჯერ კიდევ უნდა გამოიაროს, ყველას მიაქცევინა ყურადღება გლეხების მეურნეობის აწინდელ ვითარებისათვის. პეტერბურგის სხვა-და-სხვა სწავლულთა საზოგადოებამ, საგეოგრაფიო საზოგადოებამ, კერძო საეკონომიო საზოგადოებამ, ეკონომისტთა კრებამ და სხვათ ყველამ ის აზრი დაასკვნა, რომ 1891 წლის მოუსავლობა მარტო უამინდობის შედეგი არ არის, საზოგადოდ კეთილდღეობა გლეხ-კაცობისა დაეცა, დაქვეითდა და უმთავრესად ამ გარემოებამ გამოიწვია 1891 წლას მოუსავლობაცაო. აქედგან ცხადად სჩანს, რომ რუსეთი სრულიადაც უზრუნველ-ყოფილი არ არის ამ გვარისავე, ან უფრო უარესის მოუსავლობისა და სიმშილობის განმეორებისაგან მომავალშიაც. აღმოჩნდა, რომ რუსეთს ამ ჟამად არ შესძლებია ერთხელვე ძირითადად შესცვალოს ვითარება საქმისა და საკვლავიოდ შეუძლებელი გახადოს განმეორება გლეხების დამშევისა. გლეხის მამული რიგიანად ვერა მუშავდება და სწორედ ეს არის პირველი და თავი მიზეზი მოუსავლობისა. ამ მიზეზს შარშან გვალვაც დაერთო და ამან გაამწვავა საქმე. ყველანი იმ აზრისანი არიან, შარშანდელი გვალვა გლეხებს საიმისოდ ვერაფერს დააკლებდა, მიწა რომ რიგიანად ჰქონოდათ დამუშავებულიო.

გლეხი ხომ ნიადაგ მიწის მუშაკია და მაშ რატომ რიგიანად და ჯეროვანად არ უვლის მამულს? ამისი მიზეზი ორი რამეა: ჯერ ერთი, გლეხმა არ იცის აწინდელზედ უკეთესად დამუშავება მიწისა და, მეორეც, თუნდა იცოდეს კიდეც, არ ძალ-უძს წესის შეცვლა შეუძლებლობისა გამო. საკმარისი არ არის გლეხმა მარტო ის იცოდეს, ასე და ასე სჯობია მიწის დამუშავებაო. ამ ცოდნასთან ერთად საჭიროა რიგიანი გუთანიცა ჰქონდეს, საქონელიცა ჰყავდეს, რიგიანი სათესლეც მოეძევებოდეს და მეურნეობაც ისე გაფართოვებული ჰქონდეს, რომ ყოველისავე ზემოხსენებულის ხარჯი სარგებლიანად ამოიღოს. რა ჰქმნას მარტო ცოდნამ, თუ საეკონომიო გარემოებისა გამო არ შეიძლება მისი განხორციელება? რა ცოდნამ უნდა უშველოს გლეხს, როდესაც „ნადელი“ ისე მცირედი აქვს, რომ, რიგიანი-კი არა, უხეირო, ჯაგლაგი ცხენიც ვერ გამოუკვებია? საიდგან იშოვოს გლეხმა პატივი მამულისათვის, როდესაც საძოვრად ერთიმეოცედი ნაწილი ძლივს-ღაა დატოვებული მთელის „ნადელისა“ და საქონელს აქა-იქ გზის პირებზედ-და აძოვებს. მაშ, რადგან საქმე ასეა, რადგან გლეხის მეურნეობის გაუმჯობესებას ხელს უშლის ერთის მხრით უცოდინარობა და მეორეს მხრით გაჭირვებული საეკონომიო ყოფა-მდგომარეობა, აი რა ღონისძიება უნდა იქმნას ხმარებული გლეხთა დასახმარებლად: სადაც გლეხების კეთილდღეობა ჯერ არ შერყეულა, მთავრობა უნდა ეცადოს იქ ყოველ გვარის ღონისძიებით სამეურნეო სწავლა-ცოდნის გავრცელებას, ხოლო სადაც გლეხთა კეთილდღეობა შერყეულ-დარღვეულია, იქ ჯერ ეს კეთილდღეობა აღდგენილ უნდა იქმნას შეძლებისადა გვარად და შემდეგ სამეურნეო სწავლა-ცოდნაც მოიფინოს.

აი ეს აზრი დაასკვნა, როგორც ზემოდაც მოვიხსენიეთ, მრავალმა კერძო და სახელმწიფო დაწესებულებამ. ალბად დიდი საგანია ეს საგანი, რომ საერთო ყურადღება ამ სახით მიიქცია. მართალიც არის, სადაც ერი ღარიბია და მიწად-მოქმედებაც განუვითარებელი, იქ ან რა ეროვნული ძალა უნდა მოიპოვებოდეს და ან რა სამეფოს დიდება? ხალხი მხოლოდ იმაზედა ჰზრუნავს, ევებ როგორმე ხვალაც თავი გადავარჩინო სიმშილსაო, და ამით თავდება მისი მოქმედება—თავისის თავისა თითონაც აღარა სჯერა-რა და აღარა სწამს-რა.

# უცხოეთი

**საფრანგეთი**. დიდს ამბებს სჩადიან ამ ჟამად საფრანგეთში კლერიკალები და მათი მოწინააღმდეგე რადიკალები. ოცამდე დეპუტატმა პალატისამ გადასწყვიტა ცალკე დასის შედგენა წინანდელ მემარცხენე რადიკალთა სამაგიეროდ. ამ აზრის განსახორციელებლად ხსენებულმა დეპუტატებმა კომისია აირჩიეს, რომლის წევრებადაც არიან გიუიო-დესენი, კამილ დრეიპუსი, მორისფორი, ბუასსე და რატე. ამათ თავის მხრივ ის აზრი გამოსთქვეს, რომ უთუოდ უნდა შევადგინოთ დასი განსაკუთრებით კლერიკალებთან საბრძოლველადაო. სახელად ამ ახალს დასს ეწოდება „კლერიკალთა მოწინააღმდეგე დასი რესპუბლიკელ-რადიკალთა“. ეს დასი ამ მოკლე ხანში თავისს დეკლარაციას გამოაცხადებს, რომელშიაც მოხსენებული იქნება, ჩვენ განცალკევება-კი არა გვსურს რესპუბლიკის დასებისა, არამედ—მათი გაერთება, რომ შეერთებულის ძალით ვებრძოლოთ საერთო მტერს, კლერიკალიზმსაო.

კლერიკალებიც თავისას არ იშლიან და ეკკლესიებში ქადაგების დროს სხვა-და-სხვა საპოლიტიკო საგნის შესახებაც უკითხავენ მოძღვრებას თავიანთს მრევლს. ხალხში ხმა გავარდა, კლერიკალები ეკკლესიაში დაურიდებლად ჰკიცხავენ საფრანგეთის რევოლიუციასა და რესპუბლიკასაო. ამის გამო იქით სამშაბათს დიდი უწესოება მოხდა წმ. მერრის ეკკლესიაში. იეზუიტთა მოძღვარი ლემუანი ქადაგებას ამბობდა სოციალიზმის წინააღმდეგ. ეკკლესიაში ხალხი და სხვა-და-სხვა წოდების წარმომადგენელი მრავალი იყო. წინა ქადაგების დროს პარიჟის საბჭოს ერთმა წევრმა სიტყვა გააწყვეტინა მქადაგებელს და ამის გამო ეკკლესიიდგან დაითხოვეს. ამ ჟამად ეს წევრი რამდენისამე თავისის ამხანაგით იყო მისული. ლემუანმა დაიწყო ქადაგება მუშა ხალხის სიღატაკის თაობაზედ და სთქვა, ეს სენი ძლიერ მოდებულია მუშა ხალხში და მხოლოდ ღვთიურს სიყვარულს შეუძლიან მოსპოს ის მტრობა, რომელიც მუშათა და საქმის პატრონებს შორის ჰსუფევსო. ლემუანი იმისას არას ამბობდა, რასაც დაპირებული იყო. ამის გამო ხალხმა ყვირილი დაიწყო, ის იქადაგეთ, რასაც დაპირებული ხართო. ლემუანმა ჯერ შენიშნა, უზრდელად იქცევითო; მაგრამ, როდესაც ამან უფრო მეტი ხმაურობა გამოიწვია, შეუდგა დაპირებ საგნის განხილვას, ე. ი. სოციალიზმის განკიცხვას. ახლა-კი ყვირილი, სიცილი და სტვენა ასტეხა ხალხმა. გადარეულმა ეკკლესიის მნათემ გაზი ჩააქრო. შეიქმნა ერთი არეულობა. ლემუანი კათედრიდგან ჩამოვიდა და მიიმალა. იმის მაგიერად ავიდა კათედრაზე ერთი ახალგაზდა სოციალისტი და ყვირილი დაიწყო, ამ გვარ საგნების შესახებ ბაასის დრო არ არის ეხლაო. ყვირილი უარესად გაძლიერდა. მეორგანე მიუჯდა ორგანს და დაუკრა, ეგები ამითი მაინც გავაჩუმო ხალხიო, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, უფრო უარესსა სჩადიოდა ხალხი. ყვირილი ცემა-ტყეპად გადაიქცა. „გაუმარჯოს რესპუბლიკას! გაუმარჯოს კომმუნას!“ იძახოდნენ აქეთ-იქიდგან. ორგანის მაგიერ რესპუ-

ბაო. სწორედ იმ წელიწადს ჩვენს პრედსედატელს პერტურაციით აქედგან ციმბირში ამოაყოფინეს თავი!... აი, ჰნახავთ, თუ ეხლაც ასეთი რამ არ მოხდეს...

**

სამზარეულოში ჰამლეტისებურ სდგას მზარეული და ხელში ხუთმანეთიანი დაუჭერია:

— მაგი პროვიზიას სჩივა და ხვალ ვინ იცის, მეცლის ჰამისთვის?!.. ან ქვაბებს რა გააჩერებს პლიტაზედ, მისთანა მიწის ძვრევა იქნება თურმე, რომე ი სოლოლაკის და მთაწმინდის გორებს ერთმანეთს აღდგომის კვერცხსავით ახლის. მისთანა დოხალი მეიხარშება მთელს ტფილისქუთეისში, რომე ვერც მაგან მეინელოს და ვერც მისმა მამამ. ამბობენ, ფოთიდგან ბათუმს დაქანებული „პოეზდი“ ვერ გაუჩერებიათ და სუხუმში ჩაუტანია შელიჰაო. ოზურგეთს დამინგრევს ე რაცხა მიწის კოტრიალია და დევიღუპები კაკალი კაცი!..

**

ვიღაც დედაკაცი სიონის კარებში გახიდულა და გულ-მოდგინედ ლოცულობს:

— ღვთის-მშობლის ძალო და მადლო, შენ დაიფარე ცოდვილი ქვეყანა და ჩემი ორივ სათუთად გაზდილი შვილი გადაარჩინე ღვთის რისხვას. განა რა ცოდვა დატრიალდა ქვეყნად, რომ შენი დაბადებული ადამიანი ცეცხლის გველ-ვეშაპსა უნდა მისცე, ეს ქვეყანა დააწიოკო და მეორედ მოსვლა დაატრიალო!.. ნუ, ნუ ინებებ მაგას, შენს კალთას ვენაცვალები, მე შემომივლე თავსა და ჩემს ვანასა და სტეპკოს-კი ააცილე ცეცხლი და წყალი!...

**

ამ დედაკაცს შორიდგან ახალგაზდა კინტო შესცქერის და თან ელაპარაკება:

— დედი, დედი, ილოცე, შენის კოლიოს ჭირიმე!.. ცუდი დღე მოგველის, დედი, ყველანი უნდა ავიყარნეთ და საიქიოს „პოსელენცები“ გავხდეთ. დედი, ქალი ხომ არა გყავს, გამოგზავნე, მე წავიყვან, მაინც ყველას ხომ ერთი გზა გვაქვს. ამბობენ, დედამიწას რაღაც სხვა ნაირი ციება შეჰყრია, შუაზედ უნდა გასქდეს და მკვდრები ფეხზედ წამოცვივდნენო. აბა თამაშა მაშინ იქნება, აი!.. უზურში, როგორც სჩანს, საიქიოს მკვდრებს ბუნტი უქნიათ და ნაკაზანიად აქა ჰგზავნიან, ჩვენ-კი იქ უნდა წავიდეთ, იმათ მაგიერ წნილის კიტრად ჩაგვდებენ ადუღებულ კუპრის მორევში და ტარტაროზის ზაკუსკად გაგვაკეთებენ... მე ერთი ნისიად უნდა დავითვრე, დედი, და აქედგან ზურნის დასტით მივდივარ, იცოდე, რაჰაბის დაკვრით... გზაზედ უნდა გადავიხადო რაღა ჩემი ქელეხი...

გათენდა ორშაბათი და რის პერტურბაცია, რის ფლავი და სისირი, ფუზიც-კი არ გაჩენილა, თორემ გველვეშაპს ვინა სჩიოდა. პერტურბაციად მარტო ის თუ ჩაითვლება, რომ წინა დღეს დიდ-ძალი პერტურბაციის მომგონი გაზეთი გაიყიდა და ხუთ-გროშიანი ძნელად-ღა იპოვებოდა. რასაკვირველია, პულკოვის ობსერვატორია აქ არაფერს შუაშია და თუ დასასჯელია ვინმე ხალხის ასე აფორიაქებისათვის, ისევ ის არა მკითხემიამბე ჰორიკანა, რომელმაც ეს ამბავი თავისს ახალ ამბავთა შორის ჩასჩხირა და ცოცხალი ტყუილი დაახეთქა!..

**

საწყალი ხალხი! ხალხს-კი გაზეთებისა სჯერა და არ იცის, რომ გაზეთებიც ისე სტყუიან, როგორც აქაური კალენდრები.

ნდობა მეგაზეთეებისა-კი რომ დიდია, ამას, სხვათა შორის, ერთი ჩვენთან მოწერილი წერილიც ამტკიცებს. ერთი ბატონი შორით-შორს სალამს გვიყეფს და დიდის ხვეწნით გვემუდარ-გვეხვეწება:

„თქვენ შინაურად იცით და შემატყობინეთ, ამ გაზაფხულზედ ომი იქნება, თუ არა. მინდა ამ თავითვე თავდარიგი დავიჭირო და ამიტომ გთხოვთ, რომ ყველაფერი შემატყობინოთ, როგორ გაივლის საქმე, პირველად თოფი სად გავარდებაო?!...“

წერილის ავტორის პასუხად იმის მეტი რაღა დაგვრჩენია, რომ ვურჩიოთ, პასუხისათვის ხუთ-გროშიანს გაზეთს მიჰმართოს. თუ „პერტურბაცია“ ადრევე იწინასწარმეტყველა ამ გაზეთმა, მოსალოდნელ ომის ალიაფალი ხომ თავისს ხუთს თითსა და ანაბანასავით ეცოდინება.

ხიორა

ბლიკელებმა მარსელიეზა დასძახეს. აღარავის ესმოდა, ვინ რას ამბობდა, ვინ ვისა სცემდა და ვინ რასა სჩადიოდა. გაიგზავნა კაცი პოლიციის მოსაწვევად. პოლიცია ეკკლესიის გარეშ დადგა, ხოლო ხალხი თავისით დაწყნარდა და გაიფანტა.

## ნაბოლარა

მე

მე „ნაბოლარა“ მქვიან. ეს სახელი პატარაობიდგანვე დამრქვა და ეხლაც ვერ მომიშორებია. სწორედ წინასწარმეტყველი ყოფილა, ვინც პირველად ესე მიწოდა: ყოველთვის და ყველაფერში უკანასკნელი უნდა ვიყო, სულ ბოლოს უნდა მოვექცე. ძმებში უმცროსი ვარ, ნაბოლარა, და ტოლ-ამხანაგებში ხომ ხსენების ღირსიც არა ვარ; ტანით დაბალი და შესახედად ისეთი, რომ პირველ ნახვაზედვე ყველას ღიმილი მოსდის. რად გამოვედი ასეთი უბედური? ნუ თუ როგორც ამბობენ, ცუდ ვარსკვლავზედა ვარ დაბადებული?

გამიგონია, დედაშენს ძალიან უყვარდი, სხვა შვილებზედ უმეტესადაო; მე არა მახსოვს-რა: დედამ ადრე დამაობლა. მამა-კი, სოფლის დიაკვანი, მართლა თავს მევლებოდა, მეტადრე ბავშვობაში. მერე-კი, ცოტა მოვიზარდე და სწავლა დავიწყე, ჩიჩი და შნო ვერაფერში გამოვიჩინე, მამამაც თანდათან გული აიყარა და იმისი ენა ალერსიან სიტყვას ძნელად-ღა ახერხებდა.

ძმებს პატარაობიდგანვე დაჩაგრული ვყავდი; როცა-კი მარტო მომიხელებდნენ, თავში მივახუნებდნენ, მაგრამ, ჩემდა საამოდ, მალე დამშორდნენ: ერთი ძმა დიაკვნად გამწესდა სხვა სოფელში; მეორე ზედ-სიძედ შევიდა სხვის მოწყობილს ოჯახში. მე, შვიდის წლისა, მამამ ქალაქში ჩამიყვანა სასწავლებლად და ჩვენის სახლის კარ-მიდამო ბალახით ამწვანდა.

ერთად-ერთი მადლიანი ადამიანი მახსოვს, რომელსაც ვებრალებოდი და შვილივით მივაჩნდი, და რომელთანაც ისე შეთვისებული ვიყავი, რომ ობლობას არა ვგრძნობდი. ეს იყო ჩვენი ახლო მეზობელი, ქვრივი დედაკაცი მარინე. მამაჩემი ნახევარზედ შინ არ იყო, ხან ღამე უდრო-უდროოდ სხვაგან მაჭყავდათ, მე-კი მარინესთან ვრჩებოდი დღე და ღამე. ჩემი ბავშვობა და სიჭაბუკე თექვსმეტს წლამდის თითქმის სულ იქ გავატარე და ბოლოს-კი ერთმა გარემოებამ ამ ოჯახშიაც ფეხი ამომაკვეთინა.

მე და სოფო

მარინეს ერთად-ერთი შვილი ჰყავდა— სოფო. მე და სოფო ერთად შევიზარდენით, ერთს ჭერქვეშ, ერთს გარემოებაში, ერთის წყალ-პურით. მარინე სულ საქმეში იყო გართული უფრო სახლს გარედ: ზოგს ურეცხავდა, ზოგს პურს უცხობდა, ბაღში ჰბარავდა, ვენახში სხლავდა და ქალ-კაცურ საქმით ოჯახს რიგიანად ულღვებოდა.

სახლი-კი მე და სოფოს ანაბარად იყო. რა ხეირს დავაყრიდით იქაურობას: სულ გადმოვაქოთებდით, გადმოვაბრუნებდით, წავაქცევდით, დავამტვრევდით, დავღვრიდით და დავაპნევდით. მარინე დაბრუნდებოდა, გვისაყვედურებდა, მალე გაჩუმდებოდა, დატკბებოდა და ისევ ალერსს დაგვიწყებდა. მე და სოფო ისე ვიყავით, როგორც ნამდვილი და-ძმა: ერთად დავწვებოდით, ერთად ავდგებოდით, ერთმანეთს გავაჯავრებდით, გავებუტებოდით, შევრიგდებოდით, გადავეხვეოდით და დავკოცნიდით. მარინე ღიმილით გვიყურებდა, როცა-კი ესე გვხედავდა.

ქალაქმა ცოტა დაგვაშორა ერთმანეთს. როცა-კი შაბათს საღამოს დავბრუნდებოდი (ჩვენი სოფელი ქალაქიდგან სამიოთხის საათის სავალზედ იყო), მამა ყოველთვის იდროვებდა და შინ დამხვდებოდა, გამომკითხავდა თავ-გადასავალს, შემტუქსავდა, დამარიგებდა, მერე ჯიბეებს გამოიბერტყავდა, მომცემდა ორ-სამს აბაზს კვირის საგზლად და ამასობაში ძილიც მოგვერეოდა. მარინესთან მეორე დღეს თუ შევიდოდი წირვის შემდეგ. სოფოს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა: სულ ენად გადაიქცეოდა, მეხვეოდა, მეტონიდა და სცდილობდა ჩემთვისაც ენა ამოედგმევინა. მე-კი, ცოტა არ იყოს, სოფოს მეგობრობას წინანდებურად ვეღარ ვეწყობოდი. იქნება იმისთვის, რომ სხვა ამხანაგებიც ბევრი მყავდა, სხვა-დასხვა ფიქრში ვიყავი გართული, ჩემი სწავლის საგანი სოფოსთვის გაუგებარი იყო და საერთო მხოლოდ ბავშვური მოგონება-ღა დაგვრჩა.

დადგა ზაფხული. კლასიდგან კლასში ვეღარ გადავედი; დარჩენა არ შეიძლებოდა, წლოვანება ნებას არ მაძლევდა. მითხრეს, წადი გუთანზე დაუჯექი, აქ ტყუილად ნუ სცდები, შენ ვერას ისწავლიო, და გამომისტუმრეს. ავზრძანდი შინ თექვსმეტის წლის ბატონი.

მამა გამწყრალა, სახეზედ შეიშალა, წელში მოიღუნა, მთელი ერთი კვირა ხმა არ გაუცია.

მარინესაც ეწყინა, არა მითხრა-რა, მაგრამ ცივად-კი მექცეოდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტს სიტყვას თუ მეტყოდა, როცა სუფრას გაშლიდა, თორემ სხვაფრივ ყურადღებას არ მაქცევდა. ჩვენ შორის რაღაც ძაფი ჩაწყდა.

სოფელში დამცინოდნენ, რა მალე შეგისრულებია სწავლა, ბედნიერია შენი პატრონიო. მე ყველას ვერიდებოდი, შინ ვიჯექი, ან მინდორ-ვენახში წავიდოდი და რამე წიგნს წავათრევდი.

ერთი სოფო იყო ჩემი მანუგეშებელი. იმას თითქოს გაეხარდა ჩემი შინ დაბრუნება. მეტიტინებოდა, მეთამაშებოდა, მაცინებდა, მართობდა. ისე ამიყოლია, რომ ბავშვობა განვაახლეთ. ერთხელ ზინდისას კე-კე-მალულას ვთამაშობდით და რომ ვიჭერდი, უნებლიედ მუჯუზედ მომისვდა ხელი. შეჰკივლა „უიო!“ და ორივე ხელი მიიშველია. რა დაგმართვია?—ვკითხე; მტკივაო, მიპასუხა.

მე გამიკვირდა, მეგონა, დიდი მეწუკი გასჩენოდა, და ხელი ოდნავ მოვუსვი. ცოტა ხნის შემდეგ დაუამდა. მეორე ვნახე, ისიც ისე იყო აკოკრებული. გამოვკითხე მიზეზი ამ სენისა. დედამ მითხრა, ყველა ქალმა აგრე იცის და თავის თავად გაივლისო. ამას შემდეგ მტკივანა მუძუების ალერსი სასიამოვნო ჩვეულებად გარდაგვექცა: მე წყნარად ვსრესდი, ის სულს განაბავდა და მძიმედ სუნთქავს იწყებდა.

ერთ ამისთანა ალერსის შემდეგ მომინდა ხელი უფრო დამესხლოვებინა და გულზედ დუგმა გავუხსენი. სოფომ ჯერ იუარა, მერე ნებას დამყვა და ჩემი ხელი თითონვე პირანგ ქვეშ გააქანა, კისერი ჩემსკენ გადმოაგდო და ტუჩი-ტუჩს მივაწებეთ.

მარინე თავს წამოგვადგომოდა.

— უი, დამიდგა თვალები!.. მაგას რას შვრებით, თქვე ცოდვის შვილებო, ეგ რა დავანახვეთ ჩემს დასაბრმავებელს თვალებს?.. აი, შე სადახანა, შე ღვთის მტერო, შენა... ეგ ისწავლე განა ქალაქში, შე წუწკო, მაწანწალა... გასწი, გაუთრიე აქედგან, თორემ წამოვავლებ რასმე და გველისავით თავს გაგიჭრეს, შე შერცხვენებულო, ეშმაკის კერძო!.. დასხე, თუ გაუთრიოს!.. დამეკარგე-მეთქი და შენი ფეხი აქ აღარ ვნახო, თორემ ერთს რამე ცოდოს დავატრიალებ...

მინდოდა გასამართლებელი მეთქვა რამე, მაგრამ ხმა ვეღარ ამოვიღე, მივხვდი, რომ რაღაც საშინელი საქმე ჩავიდინე, თუ უნდა ჩამედინა, გამოვბრუნდი და კარში გამოვვარდი.

ამას შემდეგ სოფოსთვის სწორედ აღარ შემიხედნია და დედას ხომ დღის სავალზედ ვერიდებოდი.

ისევ მე

სოფელში ვერა საქმეს ხელი ვერ მოვკიდე; რაც ვცადე, არ გამოდგა; გავეთება-კი არა და გაფუჭება უფრო მეხერხებოდა. ურჩიეს მამაჩემს, დიაკვნად მიაბარეო; ექვს თვეს უფასოდ შეგვიწყალენს რიგიანად ვერ ვამბობდი; მწერლად მიმცეს ერთის ქალაქის სასამართლოში— ერთი ჩემგან გადაწერილი ქაღალდი არ გამოდგა, სულ თავზედ მაფხრეწავდნენ; ხელოსანთან მივედი—პურს ტყუილად გაჭმევ, ძმაო, შენი თავი არა გაქვს, წადი, ცოლი შეირთეო. დავეხეტებოდი ამ რიგად.

მე და მეგაზეთეობა

მოვიტანე „ივერიის“ კარს, ერთი წოსქვილი არ დატრიალებულა ჩემს თავზედ და ბარემ ესეცა ვსცადო, როგორი რახრახი გაუდის. ამბობენ, მეგაზეთობისთანა ძნელი საქმე არა არის-რაო. მე-კი ჯერ ძალიან მეადვილება, რადგანაც არაფერს მაწერინებენ,—ახალ-წლიდგან ახალი ამხანაგები მოვიკრიბენით და საჩრო ბევრი გვაქვს, შენ საჭირო არა ხარ, რედაქციის მიალაგ-მოალაგე და გაზეთის დაკეცვა ისწავლეო. როდესაც ჩვენ ღრმააზროვანი წერილები შემოგველევა და გაზეთის შესავსები მასალა შემოგვაკლდება, მაშინ მოგვეხმარე შენი ჩლუნგი კალამიო.

ბატონი ბრძანდებით, რა მეთქმის!

როდესაც სხვა მეგაზეთეები საკსე, ამწვანებულს სუფრას შემოუსხდებიან და მოასუფთავებენ, წითელის ღვინით საკსე ხელადას გამოხუხავენ და ყალიონს აბოლებენ, მხოლოდ მაშინ მოგვაგონდები, მომიბრუნდებიან და გულ-მტკივნეულად მეტყვიან:

— კაცო, შენც დანაყრდიო.

მადლობას მოგახსენებთ, მაგაზედ მეტი „ნაბოლარას“ არაოდეს არა რგებია.

მე და მკითხველი

მკითხველი მიხვდება, რომ ნაბოლარას მეტი არა მოეთხოვება-რა და ყურადღებას არ დამიწყებს. ჩემს ნაწერებში ნურავინ ეძებს სულისა და ჭკუის საზრდოს. მე თითონ შიმშილით ლამის კუჭი გამისკდეს და ფერდი-ფერდს მიეკრას, აბა სხვას როგორ ვასაზრდოვებ. თუ ჩემს იმედად დარჩა ვინმე, აღდგომა მალე გაუთენდება. მე ლუკმა პურისათვის ვშრომობ და ჩემს სამყაროდ ერთი მიკარდნილი კუთხე გამოვითხოვე; მე მხოლოდ ეს მაბარია. ამისათვის ძალიან მოხარული ვიქნები, თუ მკითხველი ჯერ ღრმა ყურადღებით მთლად გაზეთის ფურცელს გადაიკითხავს, მეთაურ-განცხადებითურთ, და ბოლოს ცალის თვალით ჩემსკენაც გადმოიხედავს. ქუდ-მოხდილი დავხვდები ჩემს კუთხეში.

განსაკუთრებულს ყურადღებას მკითხველისას არა ვთხოულობ.

ფ. *)

*) ბ-ნ ჟორდანიას გამოკვლევით, ქართულს-ანბანს „ფ“ ბოლოს დროს მიჰკედლებია, ჩემსავით ნაბოლარა ყოფილა.

## დეპეშა

20 მარტი

**პეტერბურგი.** უმაღლესად ებრძანა უმართებულესს სენატს, რომ ნება მიეცეს, გაიტანონ აზოვისა და შავის ზღვის ნავთ-სადგურებიდგან საზღვარგარეთ ხორბლის ფქვილი, თუ სამაგიეროდ მოტანილ იქნება საზღვარგარეთიდგან წონით იმდენივე ხორბალი.

გარეშე საქმეთა მინისტრმა გირსმა ღამე მოსვენებით ვერ გაატარა ყურის ტკივილისა გამო; სახე დაუცხრა, ჯანზედ კარგად არის.

**ბერლინი.** თავად ბისმარკის დაბადების დღე გერმანიის ბევრს ქალაქში დიდის ამბით იდღესასწაულეს. ბერლინიდგან ფრიდრიხსრუეში ბევრნი წავიდნენ მისალოცავად. ბერლინელ ნაციონალ-ლიბერალთა დასმა საერთოდ მიულოცა დეპეშით. ალტონის ჯარის უფროსი გენერალი გრაფი ვალდერზე თითონ წავიდა ფრიდრიხსრუეში და პირადად მიულოცა თავადს დაბადების დღე.

**ლონდონი.** სტაფფორდში დაიწყეს გასამართლება ექვსის კაცისა, რომელთაც ბრალი ედებათ საანარხისტო შეთქმულობისა, რაიცა ამას წინად უოლზაიელში აღმოაჩინეს.

**პარიჟი.** პოლიციამ დააპატიმრა ანარხისტი დელანუა, რომელსაც ბრალი ედება ამას წინად დინამიტის მოპარვისა ავესნის მახლობლად. ჰფიქრობენ, დელანუა „კლიტი“-ს ქუჩაზედ მომხდარ აფეთქების მონაწილეც არისო.

სასამართლო მალე დაამთავრებს რავაშოლისა და იმის ამხანაგების საქმეს, რადგან ყველანი უკვე გამოტყდნენ.

პეტერბურგის ბირჟა, 20 მარტი.

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,86 | 7,88 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 157 | 157 1/2 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | 1,15 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 237 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 218 1/2 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | 198 | 199 |
| ვირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

პეტერბურგის ბირჟის უწყება
13 მარტს
გირაოს ფურცელნი:

| ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკისა: | მყიდველი. | გამყიდველი. | გაიყიდა. |
|---|---|---|---|
| 6%. . . . . . . | 102 | — | — |
| 5%. . . . . . . | 99 1/2 | — | 99 1/2 5/8 |
| ქუთაისისა: | | | |
| 6%. . . . . . . | 102 | — | — |
| 5%. . . . . . . | 99 1/2 | — | — |
| ტფილისის საკრედიტო საზოგადოებისა. . . . . . | | | |
| 5%. . . . . . . | 98 1/4 | 98 3/4 | — |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დილით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დილით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითსაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუაღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუაღლ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

## განცხადებანი


შეელგან!!!
საპონი ოლეო-ვაზელინი
როიალ-კონგო!
ახალი ამბავი!!!
სურნელოვანი წყლები
FIN DE SIÈCLE
და სხვა საპარფიუმერო და საკოსმეტიკო საქონელი
ფაბრიკისა
„ვიქტორია რეგინასი“
ე. ბოდლო და ამხ.
მოსკოვში.
(10—3)


Дозв. ценз. Тифлисъ, 21-го Марта 1892 г. სტამბა შ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.